

THE CULT OF THE BIRD (GOLDEN ROOSTER) IN  
FOLKLORE OF HERETI

ფრინველის (ოქროს მამლის) კულტი ჰერეთის ფოლკლორში

**Naile Mikeladze**

PhD in Philology,  
Senior Researcher at Niko Berdzenishvili Institute,  
Batumi Shota Rustaveli State University;  
Batumi, 6010, 32/35 Rustaveli/Ninoshvili st., Georgia  
+995 514 04 04 71, naile.mikeladze@bsu.edu.ge  
<https://orcid.org/0009-0008-7225-1067>

**Mariam Papiashvili**

Master in Philology,  
Tbel Abuseridze Teaching University of Georgian Patriarchate  
Batumi, 6010, №378 Pridon Khalvashi, Georgia  
+995 571 09 31 26, papiashvilimariam24@gmail.com  
<https://orcid.org/0009-0001-4160-0569>

**Abstract.** In the folklore of Hereti, even today, the traditions of the Christian religion, the group of saints and the legends connected to the etymological toponyms have an outstanding place.

The article aims to highlight the analysis of folk oral material of historical Hereti. In it, we consider the folklore materials preserved in the consciousness of the local people, which are substitutes for Christian themes and are related to the name of St. George and the Virgin Mary.

The gathered and analysed materials in the paper are noteworthy to the extent that the topic refers to the contaminated topic of pagan-Muslim-Christian traditions. The analysis of issues is significant for promotion the historiography and cultural awareness of the Georgian nation. Therefore, despite the historical heresy, the inhabitants of Hereti have preserved their ancestors' beliefs, traditions and special attitude towards saints. The topic discusses the story of the saint's bird "Golden Rooster", which is deeply connected with the name of St. George and the Virgin Mary. "Golden Rooster" symbolically heralds the dawn of a new day for the Hereti, which lived in the imaginary future.

Thus, the folklore materials preserved in the consciousness of the Hereltians corresponds the general Georgian materials and are valuable from the national point of view.

**Key words:** Hereti; Saint George; Saint Mary; Kurmukhi Church; "Golden Rooster".

**ნაილე მიქელაძე**

ფილოლოგიის დოქტორი,  
 ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
 ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი;  
 ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35, 6010, საქართველო,  
 +995 514 04 04 71, naile.mikeladze@bsu.edu.ge  
<https://orcid.org/0009-0008-7225-1067>

**მარიამ პაპიაშვილი**

ფილოლოგიის მაგისტრი,  
 წმინდა ტბელ აბუსერიძის სასწავლო უნივერსიტეტი,  
 ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის №378, 6010, საქართველო,  
 +995 571 09 31 26, papiashvilimariam24@gmail.com  
<https://orcid.org/0009-0001-4160-0569>

**აბსტრაქტი:** ჰერეთის ფოლკლორში, დღესაც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქრისტიანული რელიგიის წეს-ჩვეულებებს, წმინდანთა დასსა და ეტიმოლოგიური ხასიათის ტოპონიმებთან დაკავშირებულ თქმულებებს-გადმოცემებს.

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილი იქნება ისტორიული ჰერეთის ხალხური ზეპირსიტყვიერი მასალის ანალიზი. მასში შეძლებისდაგვარად განვიხილავთ აქაურთა ცნობიერებაში დაცულ ფოლკლორულ მასალებს, რომლებიც ქრისტიანული თემატიკის შემცველია და შინაარსობრივად წმიდა გიორგისა და მარიამ ღვთისმშობლის სახელს უკავშირდება.

ნაშრომში განხილული მასალები ყურადსაღებია იმდენად, რამდენადაც თემა ეხება წარმართულ-მუსლიმურ-ქრისტიანული წეს-ჩვეულების, ტრადიციის კონტამირებულ თემას. საკითხთა ანალიზი მნიშვნელოვანია ქართველი ერის ისტორიოგრაფიისა და კულტურული ცნობიერების ამდღისათვის. რამეთუ ისტორიული ბედუკუდმართობის მიუხედავად, ჰერეთში, იქაურთა მკვიდრებს კარგად შემოუნახავთ წინაპრისეული რწმენა, ტრადიციები და წმინდანებისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება. თემაში განხილულია წმინდანთა ფრინველი „ოქროს მამლის“ ამბავი, გადმოცემა, რომელიც სიღრმისეულადაა დაკავშირებული წმინდა გიორგისა და ღვთისმშობლის სახელთან. „ოქროს მამალი“ - სიმბოლურად ჰერელების ახალი დღის გათენებას გვაუწყებს, რომელიც წარმოსახვით მომავალში ცოცხლობდა.

ამრიგად, ჰერელთა ცნობიერებაში დაცული ფოლკლორული მასალები ეხმიანება ზოგადქართულ მასალებს და ღირებულია ეროვნული თვალსაზრისითაც.

**საკვანძო სიტყვები:** ჰერეთი; წმინდა გიორგი; წმინდა მარიამი; ქურმუხის ტაძარი; „ოქროს მამალი“.

**შესავალი.** ისტორიულად, ქრისტიანულ სამყაროში, კერძოდ კი საქართველოში არ მოიძებნება წმინდანი, მოწამე იქნება იგი თუ ეკლესიის გამოჩენილი მოღვაწე, რომელიც პოპულარობით წმიდა გიორგის შეედრებოდეს. განსაკუთრებით კი XI საუკუნის ლიტერატურაში მკვიდრდება ტრადიცია - წმიდა გიორგი, როგორც საქართველოს ზეციური მფარველი.

ისევე, როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, საინგილოში ქრისტიან წმინდანთაგან წმინდა გიორგი ყველაზე დიდი წმინდანია. ჰერელების ლეგენდების, თქმულება-გადმოცემების გარკვეული ნაწილი წმ. გიორგის სასწაულთმოქმედებას ეხება.

ჩვენი სტატიის მსჯელობის საგანს სწორედ ჰერეთის ფოლკლორში შემონახული თქმულება-გადმოცემები წარმოადგენს, რომლებიც საინტერესო და ღირებულია ზოგადქართული ზეპირსიტყვიერების გაანალიზება-შესწავლის საქმეში.

სტატიის ძირითად ნაწილში საუბარი გვექნება ჰერეთში შემონახულ ზეპირსიტყვიერ მასალებზე, რომლებიც კონტამინირებულია წარმართულ-ქრისტიანულ-მუსლიმურ წესებთან. ამ მხრივ კი ნიშანდობლივია, მამლის კულტთან დაკავშირებული საკითხები ჰერეთის ზეპირსიტყვიერებაში.

აღნიშნული მასალა ჰერეთში შემონახულ გადმოცემებს ეხება. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, ისტორიული ჰერეთის თემატიკა ინტერესმოკლებული არ იქნება საზოგადოებისათვის, მკვლევართათვის.

**მეთოდები.** კვლევა ძირითადად ეფუძნება ჰერმენევტიკურ, შედარებით და ისტორიულ მეთოდებს. საანალიზოდ გამოყენებულია ჰერეთში დაცული ზეპირსიტყვიერი მასალები. კერძოდ, წმინდა გიორგის სახელთან დაკავშირებული გადმოცემები. ასევე სამეცნიერო მიმოქცევაში წარმოდგენილი კვლევები (ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით).

**შედეგები.** არსებულმა კვლევამ ერთხელ კიდევ ცხადყო, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ჰერეთის მასალები. კერძოდ, წმინდა გიორგის სახელთან დაკავშირებული თქმულება-გადმოცემები, რომლებიც გარკვეულ როლს ასრულებს ზოგადქართული ფოლკლორის უკეთ შესწავლა-გააზრებაში.

**მსჯელობა.** საქართველოში წმიდა გიორგის თაყვანისცემა განსაკუთრებით ძლიერდება X-XI საუკუნეებში, რასაც ფეოდალური მონარქიის აღმავლობას და სამხედრო იდეოლოგიის დამკვიდრებას უკავშირებენ (გამსახურდია, 1991: 172). არსენ ბერი მის შესახებ წერდა: „მეოხი და მფარველი და ხელისაღმკაცრობელი ყოველთა მორწმუნეთაი და უფროსად ნათესავისა ჩვენისა (არსენ ბერი, 1971: 11). წმიდა გიორგის მიერ ტყვეთა გამოხსნის სასწაულები მთელ მსოფლიოში იყო ცნობილი. ამის გამო დიდ კაბადოკიელ წმინდანს „ტყვეთა მხსნელსაც“ უწოდებდნენ,

საყოველთაოდაა აღიარებული, რომ ჰერეთი წლებია მოწყვეტილია დედასაქართველოს. მიუხედავად ისტორიული ბედუკუღმართობისა, ჰერეთში მცხოვრებთ კარგად შემოუნახავთ: წინაპრისეული რწმენა, ტრადიციები და წმინდანებისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება. ყველა მნიშვნელოვან და სახასიათო განხილულ თემებთან ერთად, ყურადსაღებია, რელიგიური წარმომავლობის ტოპონიმები, მასთან დაკავშირებული ისტორიები. წმინდანთა ცხოვრება და მოღვაწეობა, რომელთა სასწაულებსაც გადაურჩენია ისტორიული ჰერეთის მეობა, კულტურა და ყოფიერება. ისევე, როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, საინგილოში ქრისტიან წმინდანთაგან წმინდა გიორგი ყველაზე დიდი წმინდანია. ჰერელების ლეგენდების გარკვეული ნაწილი წმ. გიორგის სასწაულთმოქმედებას ეძღვნება. ჰერეთში შემონახული გადმოცემის მიხედვით, „გიორგი თავდაპირველად ჩვეულებრივი ადამიანი ყოფილა. წმინდა გიორგი გველეშაპის მოკვლისა და მისთვის მსხვერპლშეწირული ყმაწვილების გადარჩენისთვის პატივი მიუგია ხალხს. ამ ამბავს ურჯულოთა გულისწყრომა გამოუწვევია, მათ დაუჭერიათ გიორგი და სასტიკად უწამებიათ, ჯერ ჩაუგდიათ ცეცხლში, მაგრამ ცეცხლს არ დაუწვია. მაშინ დაუჭერიათ სამოცდასამ ნაწილად და ნაწილები გაუფანტავთ. ანალოგიური გადმოცემა ფიქსირდება ქართველ მთიელებშიც,

ინგილოურისგან განსხვავებით, მთიულური ტექსტებში აღნიშნულია, რომ გიორგი ურმის თვალზე დააკრეს, მაღალი მთიდან დააგორეს, გზადაგზა კი გიორგის სხეული სამასსამოც ნაწილად დაიშალა. ინგილოური გადმოცემაც მთიელების მსგავსად, გიორგის ნაწილების რიცხვს სამასსამოცი ან სამასსამოცდასამი იქნებოდა, რადგან ეს რიცხვი წმინდა გიორგის ატრიბუტად არის ქცეული საქართველოს ცალკეულ კუთხეთა გადმოცემებში“ (ჩიჩუა, 1982: 109).

ჰერელების ისტორიაში წმინდა გიორგის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. კერძოდ, წმიდა გიორგის სახელს ქურმუხის მონასტერთან მიმართებაში განსაკუთრებულად განიხილავენ. ქურმუხის ხეობა, საქართველოს ისტორიული მხარის, ჰერეთის მნიშვნელოვანი პუნქტია. ის ქალაქ კახის სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ორ კილომეტრში მდებარეობს. შუა საუკუნეებში აქ საეპისკოპოსო კათედრალი ყოფილა. XVII საუკუნის დასაწყისში ირანის შაჰმა აბას-I-მა ჰერეთის აღმოსავლეთი თემი კაკი ქურმუხითურთ ჩამოართვა კახეთის მეფე ალექსანდრე II-ს და წახურულ ლეკებს გადასცა, რომელნიც აქ საბოლოოდ XVIII საუკუნის I მეოთხედიდან გაბატონდნენ. ქურმუხი მოსწყდა კახეთის სამეფოს. აქ შემორჩენილია ქურმუხის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესია. 20. 03. 2023 წ. (კარიბჭე, 2009)

მეტად საინტერესოა, თავად ქურმუხის სახელის სახელწოდება. ნაწილი ადგილობრივი მოსახლეობისა ფიქრობს, რომ სახელწოდება ქურმუხი უწოდეს ადგილმდებარეობის გამო, რადგან მთის ამ ნაწილში მთლიანად მუხის ხე ხარობს, ასევე ქურმუხი ჰქვია მდინარეს. ეკლესია კაკვია და მის პირზეა აშენებული. მის გვერდით ყრია დიდი ეკლესიისოდენა ქვები. თითოეული ქვა მთის კალთაზეა აშვერილი (ჯანაშვილი, 2000: 74-75).

ჰერეთში დაცული ფოლკლორული მასალების მიხედვით, ვგებულობთ, რომ ეკლესიის მიდამოები ხელთუხლებელი საგანძური ყოფილა ქართველებისთვის, ჰერელებისთვის. ერთ-ერთი ინფორმატორის გადმოცემით: „ქურმუხის ეკლესიის ირგვლივ მუხნარია, მუხა ერთგვარად იცავდა ამ ეკლესიას და მოსახლეობაც დიდი პატივისცემით ექცეოდა, მის ეზოში მუხის ტოტის აღებაც კი ცოდვად ითვლებოდა. ფიქრობდნენ, რომ მუხის მაღლი ეკლესიასა და მოსახლეობას იცავდა დამპყრობლებისგან. ეკლესიის ეზოში ასწლოვანი მუხა მდგარა. ამ მუხას ორი მოზრდილი ტოტი საყდრის დახავსებულ ბანისთვის გადაუფარებია. მუხა, დამველებულ საყდარს ავდარისაგან იფარავდა. ისიც თავის მხრივ დავალებული არა რჩება, თავის ხატის დარაჯად უდგას მუხის დღეგრძელობას; „არვის ძალუმს მუხის შეხება, ყველას ხატისა ეკრძაღვის, ყველა ერიდება ხატის რისხვას. ხშირად მომხდარა, რომ სოფელს შესცივნია, კიწეწი შეშა დანატრულებია, მუხის ქვეშ კი ბლომად ყრილა გამხმარი ტოტები, მაგრამ ამ ტოტებს არავინ არ აიღებს (მთქ. მ. ნუროშვილი, დაბად. და მცხ. ქალაქ კახი, 62 წლის, ჩავ. 2020 წ. ივნისი, პირადი არქივი). იმავე შინაარსის მატარებელია ვ. თამროშვილი სტატია „წმინდა მუხა“, რომლის ისტორიაში საუბარია კახეთში დაცულ თქმულებაზე, სადაც მუხა ისეთივე წმინდაა, როგორც ჰერეთის ფოლკლორში შემონახულ ლეგენდებში (მიქელაძე, პაპიაშვილი 2023: 230).

წმიდა სალოცავი, ქურმუხის წმინდა გიორგის ეკლესია, ქალაქ კაკიდან ერთი კილომეტრის დაშორებით მდებარეობს, რომელსაც არა მარტო ქართველები, არამედ იქ მცხოვრები მოსახლეობაც დიდ პატივს სცემს. ჩვენდა საბედნიეროდ, ამჟამინდელ ისტორიულ რეალობას, მაჰმადიანურ სარწმუნოებას, ვერ შეუწელებია მოსახლეობის შიში, მორიდება და პატივისცემა წმინდა ქურმუხის ეკლესიისადმი და არა მარტო ამ ტაძრისადმი, არამედ მთელი ამ მიდამოსადმი.

ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ ქურმუხის წმინდა გიორგის პატივსაცემად, გიორგობას აქ შეკრებილი უხუცესები, მოსახლეობა ქვების ახლოს თავყრილობას მართავს და ამ მიდამოებსაც მოილოცავს, პატივს მიაგებს. რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ამ

რიტუალში ქართველებთან ერთად მსხვერპლს სწირავენ მონაწილეობენ მაჰმადიანი მოსახლეობაც. მსხვერპლშეწირვისთვის მისაღებია ცხვარი, თუმცა მამალი (ფრინველი) უფრო მეტად (მთქ. ბ. პაპიაშვილი, დაბად. და მცხ. ქალაქ კახის სოფ. ალათემურიში, 57 წლის, ჩავ. 2023 წ. იანვარი, პირადი არქივი).

ქურმუხის წმინდა გიორგის ეკლესიასთან არსებობს უზარმაზარი ლოდი, რომელსაც ძველი ეკლესიის ნაშთად თვლიან. ეს ლოდი იმდენად დიდი ყოფილა, რომ მასზე პატარა ეკლესიაც კი აუგიათ. ამ ლოდთან დაკავშირებითაც არსებობს ლეგენდა: „ლოდის შიგნით გამოქვაბული ყოფილა. და შიგ კი ხატები ასვენია, კარები წმინდა გიორგის ამოუქოლავს და ამიტომ მისი კვალი სადმე აღარ მოჩანს (ჩიჩუა, 1982: 110).

მოცემული თქმულება ცხადყოფს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია აქაურთა რწმენაში, წმინდა გიორგის სახელი და მასთან დაკავშირებული გადმოცემები.

მოსე ჯანაშვილი მის წიგნში „საინგილო“ წერს: „ქურმუხის წმინდა გიორგის საყდარი დაბა კაკის იქით კავკასიონის გამოშვერილს ფერდობზე და დაჰყურებს თვალუწვდენელ სივრცეს. იგი ერთი უზარმაზარი მთლიანი კლდეა, საყდრის სახით შემოკვერცხილი. მის თავზე, რაღაც ნაშენობის ნაშთიც არის, ამბობენ, ზედ კიდევ ნიში იქნებოდაო. ქურმუხის საყდარი ანუ ქურმუხის წმინდა გიორგი მეტად სწამს აქაურ ხალხს, თვით მაჰმადიანებიც კი მოდიან მის სალოცავად. მისი პატივი ისე ძლიერია აქ, რომ ინგილო საკლავს ისე არ დაჰკლავს, რომ ღმერთის შემდეგ არ ახსენოს ქურმუხის საყდარი. ისინი ამ დროს ამბობენ: „ღმერთო და ქურმუხის საყდარო, შენ შეგუწყალ“ წარმოსთქვამს ინგილო და დანას გამოუსომს ქურმუხის საყდრისკენ პირმოქცეულად წამოქცეულ „სამხტოს“ ანუ თუნდ საკორცეს, ქათამს და სხვა საკლავს. ქურმუხის საყდრისკენ მიდის მთა-მთა ფართო ბილიკი, მის შესახებ არსებობს მრავალი თქმულება. შიგ საყდარში არის მღვიმე, რომელშიც იმყოფება ოქროს მამალი, ის რომ დაიცივლებს, მაშინ სხვა მამლებიც შუალამეაო და ყივილს მორთავენ. მის კარიპირიდან (წმინდა მიწა) რომ იქონიო და წყალში ნალესი დალიო გარგებსო და სხვა და სხვა სწეულება ვერ შეგაწუხებსო (ჯანაშვილი, 1910: 23-24).

მამლის სიმბოლიკს მრავალგვარი დატვირთვა გააჩნია. მას მსოფლიოს მითოსში სხვადასხვაგვარად განიხილავენ. ის სიფხიზლეს, სიმამაცეს, წინასწარგანჭვრეტასა და საიმედობას უკავშირდებოდა; გარიჟრაჟდა მისი ყივილი არა მხოლოდ ახალი დღის, არამედ სულიერი აღარძინების მომასწავებელი იყო, ხოლო თავად მამალი - თავაწეული, ამაცი, წითლად აალებული ბიბილოთი და ფერადოვანი კუდიტ- ცაზე ამოწვერილ მზეს ემსგავსებოდა და განასახიერებდა კიდევ (აბზიანიძე & ელაშვილი, 2006: 131) როგორც ცნობილია, მზე ოდითგანვე ქართველთა ცნობიერებაში განსაკუთრებულ ადგილს იჭერდა და მისი მზესთან კავშირი, რა თქმა უნდა, სიმბოლური იყო. კერძოდ, „ხალხური რწმენის მიხედვით, ღამის აჩრდილები ქრებოდნენ მამლის პირველ დაყივლებისთანავე. მამლისთვის დამახასიათებელი მზიური „დამცავი“ სიმბოლიზმის თვალმიდევნება უძველესი დროიდან შეიძლება ახლო აღმოსავლეთსა და საბერძნეთში. ანტიკურ პანთეონში მამალი გახლდათ ატრიბუტი ან თანამგზავრი ზევსის, აპოლონის, ატისის, პერსეფონესი, არესის, ათენის, ჰერმესის, ასკლეპიოსის), (ესკულაპესი)“ (იქვე, 131). შუა საუკუნეებში მამლის სიმბოლიკამ ქრისტიანულ ევროპაში მნიშვნელოვანი დატვირთვა შეიძინა. ცნობილია, მაცხოვრის სიტყვები საიდუმლო სერობის წინ, როცა თავის მოწაფეებს მოძღვრავდა: „34 ახალ მცნებას გაძლევთ თქვენ: გიყვარდეთ ერთმანეთი. როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ, თქვენც ისე გიყვარდეთ ერთმანეთი. 35 ჩემი მოწაფეები რომ ხართ, ამით გაიგებენ ყველანი, თუ ერთმანეთის სიყვარული გექნებათ.“ 36. ეუბნება მას სიმონ-პეტრე: „უფალო სად მიდიხარ?“ მიუგო მას იესომ: „ახლა იქ ვერ გამოძევები, სადაც მე მივდივარ, მერე კი გამოძევები.“ 37. ეუბნება მას პეტრე: „უფალო, ახლავე რატომ ვერ გამოგყვები? სულს დავდებ შენთვის.“ 38. მიუგო იესომ: „სულს დადებ ჩემთვის?

ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნები შენ: მამალი არ იყივლებს, სანამ **სამჯერ არ უარყოფ**. (ახალი აღქმა).

მართლაც, გაცხადდა მაცხოვრის წინასწარმეტყველება: როცა მაცხოვარი მსაჯულთან შეიყვანეს... 15. მისდევდა იესოს სიმონ-პეტრე და სხვა მოწაფე მღვდელმთავრის ნაცნობი იყო და იესოსთან ერთად შევიდა მღვდელმთავრის ეზოში. 16. პეტრე კი გარეთ იდგა, ჭიშკართან. გამოვიდა სხვა მოწაფე, მღვდელმთავრის ნაცნობი, რაღაც უთხრა მეკარე ქალს, და შეიყვანა პეტრე. 17. ხოლო მეკარე ქალმა პეტრეს უთხრა: განა შენც ამ კაცის მოწაფეთაგანი არა ხარ? მან თქვა: **არა ვარ**. 18. მაცხოვარი წაივანეს, პეტრე იდგა და თბებოდა: „და უთხრეს მას: განა შენც მისი მოწაფეთაგანი არ ხარ? მაგრამ მან უარყო და თქვა: **არა არ ვარ**. 26. მღვდელმთავარმა ერთმა მონამ, იმისმა ნათესავმა, ვისაც ყური ჩამოათალა პეტრემ, უთხრა მას: განა მასთან ერთად არ გნახე ბაღში? 27. კვლავ უარყო პეტრემ, და მყისვე იყივლა მამალმა. (ახალი აღქმა)

სახარებისეული ისტორია მოგვითხრობს იმაზე, თუ როგორ აღნიშნა მამლის სამი დაყივლებით პეტრესაგან მაცხოვრის სამი უარყოფა (თავად იესო ქრისტესაგან ნაწინასწარმეტყველები). მას შემდეგ, მამალი პეტრე მოციქულის ტრადიციულ ატრიბუტად იქცა (აბზიანიძე & ელაშვილი, 2006: 131) ანტიკურ მითოლოგიაში, „მამალი მიწისქვეშეთს უკავშირდებოდა, ვითარც ქტონური ფრინველი. ის ეძღვნებოდა ასკლეპიოსს და განასახიერებდა სიკვდილ-სიცოცხლის სიმბოლოს. ხორხე ლუის ბორხესის „ბესტიარიუმში“ ცალკეა გამოყოფილი ჩინური „ზეციური მამალი“, რომლის კვერცხებიდანაც გამოჩეკილი წითელბიბილოიანი წიწილები მთელს ქვეყნიერებას მოედვენ. ჩინეთში მამლის სახელწოდება „კუნ“ – ილბლიანობის ომონიმია; წითელი მამალი სახლს ხანძრისაგან იცავს; ხოლო თეთრი მოჩვენებებისაგან. გამოიხმო ბნელი მღვიმიდან, სადაც ეს მშვენიერი ზეციური არსება თავის ნათელს მალავდა) (აბზიანიძე & ელაშვილი, 2006: 131).

მამლის ესოდენ შთამბეჭდავი და უჩვეულო სახისმეტყველება ქართულ წარმართულ ცნობიერებაშიც აისახა, რისი პლასტებიც დღემდე შემორჩენილი: ეს შეინიშნება არა მარტო ხატობებზე, არამედ ქრისტიანულ სალოცავებშიც კი (განსაკუთრებით წმინდა გიორგის სახელზე აგებულ ტაძრებში) მამლის მსხვერპლად შეწირვის ტრადიციაში. სვანური ეთნოგრაფიის მკვლევრები ადასტურებენ არქაულ რწმენას – გარდაცვლილი მამაკაცის სულის – მამალში, ხოლო ქალის – დედალში გარდასახვის შესახებ. მეცნიერები განცვიფრებით აღნიშნავენ იმასაც, რომ მამლის სიმბოლოს დაკავშირება მოახლოებულ სიკვდილთან გვხვდება სვანებისაგან ისეთ დამორებულ ეთნოსში, როგორც იაკუტებია(იქვე). „სვანურ სიტყვიერებაში დაცული იყო ერთ-ერთი უძველესი ტრადიცია, კერძოდ, თუ ადამიანი ოჯახში არ გარდაიცვლებოდა, გარკვეული მიზეზების გამო(გარდაცვლილი ოჯახის გარეთ კვდება, მაგ: ტყეში, გზაში და ა.შ.) აქაური ტრადიციით აუცილებელი იყო მისი სულის გადმოპატიჟება, სახლში დაბრუნება. ამისათვის ისინი იმ ადგილებში, სადაც ადამიანი იპოვეს//ნახეს გარდაცვლილი გაუშვებდნენ მამალს. მამალი სადაც გაჩერდებოდა, იმ ადგილზე აღასრულებდნენ შესაბამისს რიტუალს, ე.ი სულს გადმოპატიჟებდნენ. მამალს კარგად დააპურებდნენ და გაუშვებდნენ(საღვთოდ შეწირავდნენ)“ (მთქმელი ხერგიანი ინგა, დაბადებული დაბა მესტიაში და მცხოვრები ქ.ბათუმში, 42 წლის, ჩავ. 2024 წლის ოქტომბერში).

მამალთან დაკავშირებულ გადმოცემებს ინახავს ჰერეთის ზეპირსიტყვიერება. კერძოდ, ჰერეთში, წმინდა გიორგობის დღესასწაულზე, ძირითადად, მამალს სწირავენ ხოლმე. ეს ტრადიცია კი აქ შემონახულ, ხალხურ სიტყვიერებაში არსებულ, თქმულებას უკავშირდება. მთქმელთა გადმოცემით, „ქურმუხის წმინდა გიორგის ეკლესიის სიღრმეში ცხოვრობს წმინდა გიორგი და ღვთისმშობელი. მათ თან ჰყავთ ერთი ოქროს მამალი. იქაურობა განათებულია მათი სიწმინდით. ისინი წელიწადში ერთხელ გამოდიან, ხოლო

ოქროს მამალი – ყოველ ღამეს, შუაღამისას. მამალი სწორედ იმ დროს გამოდის, რა დროსაც ქრისტე აღსდგა და ყვილით აღვიძებს არემარეში ყველა მამალს და ამცნობს, რომ ღამე განახევრდა. სანამ ეს მამალი არ იყვილებს შუაღამეს და გამთენიოს, სხვა მამლებს არ აქვთ უფლება, რომ იყვილონ. რომელიმე მამალი თუ იყვილებს, ის ღვთისგან გამწყრალია... წმინდა გიორგის და ღვთისმშობელს ღვინით სავსე ოქროს თასი აქვთ, რომლითაც ლოცავენ ჰერეთს და მათი წყალობა არასოდეს არ აკლიათ ჰერელებს. ისინი მხოლოდ აღდგომის დღეს გამოდიან ამ გამოქვაბულიდან ლოცავენ ჰერეთს და უკან ბრუნდებიან“ (მ.პაპიაშვილი). არსებობს გადმოცემა, რომელიც ნაწილობრივ თანხვედრაშია აჭარის ფოლკლორთან კერძოდ, „თუ მამალი გათენებამდე (გამთენიამდე) დაიყვილებს, ცოდვაა, ოჯახში უბედურება დატრიალდება. ამიტომაც მას მეორე დღესვე კლავენ“. აჭარაში ოსმალის შემოსვლის მერე აქაურები ნაეკლესიარ ადგილებზე მამალს გაუშვებდნენ. ბავშვი რომ დაავადდებოდა მამალზე ფეხებით შეაყენებდნენ (დაათელვინებდნენ) სამჯერ, მერე მამალს დაკლავდნენ და მის თავს ერთი ღამით თავქვეშ ამოუდებდნენ. სჯეროდათ პატარა გამოჯანმრთელდებო (მიქელაძე, 2015: 15). შესაძლოა, მსგავსი შინაარსის გადმოცემა ოქროს მამალთან დაკავშირებით აქაც არსებობდა და დაიკარგა. მხოლოდ ეს შემორჩა, რომ წმინდა მამალს ყვილი არცერთმა მამალმა არ უნდა დაასწროს. თუ დაასწრო – ისჯება.

ჰერეთში, მამლის შეწირვის ტრადიციას არქაულ პლასტებში ეძებნება კვალი. წინათაც, ახლაც ეკლესიის ეზოში გაუშვებენ მამალს და სჯერათ, რომ ის აუცილებლად ნახავს ოქროს მამალს და მისი წყალობა გადაეცემა. პატარა ბავშვისთვის ან ვიღაცისთვის შეწირულ მამალს როცა დაკლავენ მის სისხლს შუბლზე ჯვარად გამოუხსახავენ. ეს ტრადიცია, სწორედ იმ პერიოდიდან მომდინარეობს, როცა ჰერეთის მოსახლეობას არ ჰქონდათ უფლება ღვთისმსახურების შეესრულებინათ. ალბათ, ყოველივემ შეუწყო ხელი იმას, რომ მამლის, როგორც ფრინველის კულტი დამკვიდრდა ჰერეთში იმ ფორმით, რა ფორმითაც დღესაა შემორჩენილი. ჰერელებს არ სურდათ დავიწყებას მისცემოდა ოქროს მამლის სასწაული და ტრადიციად აქციეს. მამლის შეწირვა კი მუდამ ახსენებდა ჰერელებს, რომ არსებობდა ოქროს მამალი, რომელიც ახალი დასაბამი იყო სიცოცხლის გაგრძელებისა, ერის გადარჩენისა (პაპიაშვილი, 2023: 50).

ჰერელებს სჯერავთ, რომ ღმერთი წმინდა გიორგის ქურმუხის ეკლესიას, წმინდა გიორგის, მეტად შეეწევა, რამეთუ ამ უდიდეს ტრადიციას მან ჩაუყარა საფუძველი. ჰერეთში, ყოველწლიურად იმართება გიორგობის დღესასწაული, სადაც დიდძალი ხალხი იყრის თავს. აქ მისულებს კი სწამთ, ადამიანი, როცა რაღაცას მთელი გულით შესთხოვს, აუცილებლად აუხდება ეს ნატვრა. წესისამებრ, მოსახლეობა ეკლესიისკენ მიმავალ ბილიკს ფეხშიშველი გაივლის. წმინდა გიორგის ეკლესიისკენ მიმავალ გზაზე ბილიკია, რომლის ერთ მხარეს ტყეა, ხოლო მეორე მხარეს მთის ფერდობია. ამ გზის გავლასაც თავისი დანიშნულება გააჩნია. ამ გზაზე ფეხშიშველი გავლა, ასოცირდება უფალთან უხილავ კავშირზე. ხალხს სწამს, რომ „უფალმა იესომ გოლგოთისკენ მიმავალი გზა ფეხშიშველი გაიარა მხოლოდ იმიტომ, რომ კაცობრიობა გადაერჩინა. მან კაცობრიობის ცოდვა საკუთარ თავზე აიღო. სწორედ ქურმუხისკენ მიმავალი გზაც, იმ გზას ჰგავს, როცა „ჰერელი“ ნატრობს, რომ უფალმა ის ცოდვებისგან იხსნას და გზა გაუნათოს. ის გზა, რომელიც არა მარტო მის პირად ინტერსებს არგებს, არამედ სამშობლოსაც წაადგება.

ამდენად, საინგილოში თითქმის ყველა ტოპონიმს, რაღაც ისტორიული გადმოცემა უკავშირდება. სამწუხაროდ, ბევრი მათგანი ხალხს ბედუკუდმართობის გამო ამოუშლია მეხსიერებიდან, ნაწილი კი დღემდე ცოცხალია. თითქმის ყველა მათგანი პატრიოტულ თემას ან სარწმუნოების დაცვის ეპიზოდს გადმოსცემს, რომლებიც ღირებულია ეროვნული სულიერების თვალსაზრისით. ეს გადმოცემაც, ერთ-ერთი იმათგანია, რომელიც მათ ოპტიმიზმს, სულიერებასა და მრწამსზე მიგვანიშნებს.

## გამოყენებული ლიტერატურა:

ახალი ალთქმა. მოძიებულია ვებგვერდიდან:

[https://www.orthodoxy.ge/tserili/biblia\\_sruli/akhali/ioane/ioane-18.htm](https://www.orthodoxy.ge/tserili/biblia_sruli/akhali/ioane/ioane-18.htm)

აბზიანიძე, ზ., & ელაშვილი, ქ. (2006). *სიმბოლოთა ენციკლოპედია*. გამომცემლობა „ბაკმი“.

ამბიონი. (2010). საინგილო – ქართული სულის ციტადელი. მოძიებულია ვებგვერდიდან: <http://www.ambioni.ge/saingilo>

არსენ ბერი. (1971). *ნინოს ცხოვრება, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. III (მეტაფრაზული რედაქციები XI-XIII სს.)*.

გამსახურდია, ზ. (1991). *ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება*. თბილისი.

კარიბჭე. (2009). "დარდებს ქურმუხს გავაყოლებ..." მოძიებულია ვებგვერდიდან: <http://karibche.ambebi.ge/qristianuli-ckhovreba/4380-qdardebs-qurmukhs-gavayolebq.html>

მარჯანიშვილი, გ. (2005). ჰერეთი. თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი“.

მიქელაძე, ნ. (2015). *ექსპედიციის მასალები*. ჩანაწერები #2

მიქელაძე, ნ., & პაპიაშვილი, მ. (2023). *ხის კულტი ჰერეთის მკვიდრთა ცნობიერებაში (ახალი ფოლკლორული მასალების მიხედვით)* <https://ejournals.at su.ge/Kartvelology/index.php?dir=issues&page=Issue&issueID=27&lng=Ge>

მოსე ჯანაშვილი - 150. (2007). კონფერენციის მასალები. თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი“.

პაპიაშვილი, მ. (2023). *ზოგიერთი საკითხის გააზრებისთვის ჰერეთის ხალხურსიტყვიერებაში (კახის რაიონის, ალიბეგლოს, ყარამეშას მასალების მიხედვით)*. საქართველოს საპატრიარქოს სასწავლო უნივერსიტეტი.

ჩიჩუა, მ. (1982). ინგილოური გადმოცემები. კრებულიდან: *ქართული ფოლკლორი*. ტომი XXI, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

ჯანაშვილი, მ. (1910). *საინგილო*. თბილისი.

ჯანაშვილი, დ. (2000). *ისტორიული და გეოგრაფიული აღწერა ჰერეთისა*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

## REFERENCES

*akhali aghtkma [New Testament]*. Retrieved from

[https://www.orthodoxy.ge/tserili/biblia\\_sruli/akhali/ioane/ioane-18.htm](https://www.orthodoxy.ge/tserili/biblia_sruli/akhali/ioane/ioane-18.htm)

abzianidze, z., & elashvili, k. (2006). *simbolota entsik'lop'edia [Encyclopedia of Symbols]*. Publishing House „Bakmi“.

ambioni. (2010). *saingilo – kartuli sulis tsit'adeli [The citadel of the Georgian soul]*. Retrieved from <http://www.ambioni.ge/saingilo>

arsen beri. (1971). *ninos tskhovreba, dzveli kartuli agiograpiuli lit'erat'uris dzeglebi. III (met'aprazuli redaktsiebi XI-XIII ss.) [Nino's life. Monuments of ancient Georgian hagiographic literature. III (Metaphrase editions XI-XIII centuries)]*.

gamsakhurdia, z. (1991). *vepkhist'qaosnis sakhismet'qveleba [The Knight in the Panther's Skin 's facial expression]*. Tbilisi.

k'aribch'e [Karibche]. (2009). "dardebs kurmukhs gavaqoleb.." [I will give away worries to Kurmukhi] Retrieved from <http://karibche.ambebi.ge/qristianuli-ckhovreba/4380-qdardebs-qurmukhs-gavayolebq.html>

marjanishvili, g. (2005). *hereti [Hereti]*. Tbilisi: Publishing House „Artanuji“.



- mikeladze, n. (2015). *eksp'editsiis masalebi [Materials of Expedition]*. Records #2
- mikeladze, n., & p'ap'iashvili, m. (2023). *khis k'ult'i heretis mk'vidrta tsnobierebashi (akhali polk'loruli masalebis mikhedvit) [Cult of wood in the consciousness of the inhabitants of Hereti (according to new folklore materials)]*
- <https://ejournals.atsu.ge/Kartvelology/index.php?dir=issues&page=Issue&issueID=27&lng=Ge>
- mose janashvili – 150 [Mose Janashvili - 150]. (2007). Proceedings of the conference. Tbilisi: Publishing House „Artanuji“.
- p'ap'iashvili, m. (2023). *zogierti sak'itkhis gaazrebistvis heretis khalkhursit'qvierebashi (k'akhis raionis, alibeglos, qarameshas masalebis mikhedvit) [For the understanding of some issues in the folklore of Hereti (according to the materials of Kakhi district, Alibeglo, Karamesha)]*. Georgian University of the Patriarchate of Georgia.
- chichua, m. (1982). ingilouri gadmotsemebi [Ingiloian Stories]. In *kartuli polk'lori [Georgian Folklore]*. Vol. XXI, Tbilisi: Publishing House „Metsniereba“.
- janashvili, m. (1910). *saingilo [Saingilo]*. Tbilisi.
- janashvili, d. (2000). *ist'oriuli da geograpiuli aghts'era heretisa [Historical and geographical description of Hereti]*. Tbilisi: Tbilisi University Publishing House.